

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ესემო-ფარმინა“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2006 წლის 20 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 202346498, იურიდიული მისამართი - ქ.თბილისი, წერეთლის #10. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2019 წლის 14 ნოემბრიდან.

1.2. კომპანიის წილის მფლობელები არიან: 80%-ს მფლობელი, დავით თაბაგარი (პ/ნ: 01009013472) და 20%-ს მფლობელი, მარია თაბაგარი (პ/ნ: 01008020041).

1.3. კომპანიის დირექტორია ნინო შავდია, პ/ნ: 01030048260.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: სამედიცინო-კლინიკური კვლევების მართვა, ლაბორატორიული მომსახურება და ჯანდაცვის სხვა საქმიანობები.

1.5. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს შვილობილი საწარმო - შპს მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა (ს/ნ: 405169598), რომელშიც კომპანიას გააჩნია 20%-იანი წილი.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-

ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით შემდეგი საექსპლატაციო ვადის გათვალისწინებით:

ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 8 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8 წელი;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ექსტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით

რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2019 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	146	6
ლარი საბანკო ანგარიშებზე	24770	28564
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	443258	803352
ევროები საბანკო ანგარიშებზე	745252	861246
სულ:	1213426	1693168

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებიდან	1383304	656882
სულ:	1383304	656882

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს 1 არარეზიდენტი და 3 რეზიდენტი იურიდიული პირების წინაშე, სულ - 4 დებიტორი 31.12.2019 წ. მდგომარეობით.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2025	181
სულ:	2025	181

3.4. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	32248	3782
სულ:	32248	3782

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთი	550900	0	0	550900
დაუმთავრებელი მშენებლობა	94700	+94700	0	0
მანქანა- დანადგარები	661 323.56	+76943	73168	584278
ოფისის აღჭურვილობა	105047	+24453	17050	80594
ავეჯი და სხვა ინვენტარი	35465	+2534	29435	32931
სატრანსპორტო საშუალებები	79027	0	7903	79027
სულ:	1526462	198630	127 556	1327730

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 250 335 ლარი.

2019 წლის ბოლოსთვის ზირითადი საშუალებების ნარჩენმა ღირებულებამ შეადგინა 1 276 127.66 ლარი.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	326675	305067
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	0	0
სულ:	326675	305067

31.12.2019 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 20 რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.7. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
გაუნაწილებელი მოგება	4204188	3751117
სულ:	4204188	3751117

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2019 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2019 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.10. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018-2019 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა სამედიცინო-კლინიკური კვლევებიდან და ლაბორატორიული მომსახურებიდან.

	2019 წელი
სამედიცინო მომსახურებიდან შემოსავალი	3635632
სხვა შემოსავალი	0
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-1559183
სულ:	2076449

3.11. სხვა შემოსავლები და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

სხვა ხარჯების დასახელება	2019 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	699573
ცვეთა და ამორტიზაცია	195061
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი)	0
იჯარის ხარჯები	72163
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	198197
სულ:	1164994

3.12. წმინდა შემოსაულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

	2019 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	70092
უარყოფითი საკურსო სხვაობები	0
სულ:	70092

3.13. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის 2019 წლის ფინანსური შედეგი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც წარმოიშვა 2018-2019 წლის მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად („ესტონური მოდელის“ შესაბამისად) 2019 წელს.

	2019 წელი
გაცემული დივიდენდები 2018-2019 წლის	1253946
გაცემულ დივიდენდებზე გადახდილი მოგების გადასახადი	221284
სულ:	1475230

3.14. ფინანსური ანგარიშების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 10 სექტემბერს.



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,213,426	1,693,168	1,347,292
საფაქრო მოთხოვნები	1,383,304	656,882	1,197,560
გადახდილი ავანსები და დარიცხული შიხალები შემოსავალი	2,025	181	44,677
ძირითადი	210,958	164,276	163,849
- შხა პროდუქცია			
- სხვა	210,958	164,276	163,849
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	32,248	3,782	12,640
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გადახდილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	1,020	1,020	1,020
ძირითადი საშუალებები	1,275,108	1,204,951	1,100,816
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	412,974	332,124	321,124
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	4,531,064	4,056,384	4,188,977
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
საფაქრო ვალდებულებები			
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	326,675	305,067	277,638
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები			
გამორეზერვებული შემოსავალი			
მიმდინარე სასესიო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესიო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	326,675	305,067	277,638
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	200	200	200
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	4,204,188	3,751,117	3,911,139
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	4,204,388	3,751,317	3,911,339
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,531,063	4,056,384	4,188,977



ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი 2019	საანგარიშგებო პერიოდი 2018
ნეტო ამონაგები		
საქონლის გაყიდვიდან	3,635,632	4,957,492
მომსახურების გაწევიდან	3,635,632	4,957,492
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1,559,183	2,992,579
საწყისი მარაგები	164,482	163,849
მარაგების შესყიდვა	228,376	173,022
გადაშლადების დანახარჯები	(1,377,282)	(2,819,985)
საბოლოო მარაგები	210,958	164,276
საერთო მოგება	2,076,449	1,964,913

სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	699,573	676,747
ივეთა და ამორტიზაცია	195,061	146,350
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :		
ოჯარის ხარჯი	72,163	58,579
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	198,033	152,070
სულ საოპერაციო ხარჯები	1,164,829	1,033,747
საოპერაციო მოგება	911,620	931,166

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	70,092	(144,600)
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე გაწერპობითი ოპერაციებიდან	70,092	(144,600)
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	981,711	786,566

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი სამუდამების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების გადაფასების რეზერვი)		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		

კაპიტალი საწყისი წაშლი (პერიოდის საწყისი წაშლი)	3,751,045	3,911,339
ახალი აქციების გამოშვება (შეს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მუხაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	(528,369)	(946,860)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	981,711	786,566
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4,204,387	3,751,045

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი- 2019	საანგარიშგებო პერიოდი- 2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(80,189)	1,110,107
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(449,114)	(804,852)
წმინდა ზრდა (კლება) ფულა და ფულის ეკვივალენტებში	(529,302)	305,256
სავალუტო კურსის ეფექტი	49,561	40,620
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,693,168	1,347,292
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,213,426	1,693,168



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ზოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებო პერიოდის ზოლო თარიღი 31.12.2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის ზოლო თარიღი 31.12.2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,213,426	1,693,168	1,347,292
საფაქრო მოთხოვნები	1,383,304	656,882	1,197,560
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	2,025	181	44,677
მარაგები	210,958	164,276	163,849
- შპს პროდუქცია			
- სხვა	210,958	164,276	163,849
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	32,248	3,782	12,640
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	1,020	1,020	1,020
ძირითადი საშუალებები	1,275,108	1,204,951	1,100,816
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	412,974	332,124	321,124
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	4,531,064	4,056,384	4,188,977
ვალდებულებები			
ფინანსური ოჯარის ვალდებულება			
საფაქრო ვალდებულებები			
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	326,675	305,067	277,638
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე ხსენებთ ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესიო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	326,675	305,067	277,638
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კომპერტივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	200	200	200
საფასიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	4,204,188	3,751,117	3,911,139
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	4,204,388	3,751,317	3,911,339
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,531,063	4,056,384	4,188,977



ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი 2019	საანგარიშგებო პერიოდი 2018
ნეტო ამონაგები		
საქონლის გაყიდვიდან	3,635,632	4,957,492
მომსახურების გაწევიდან	3,635,632	4,957,492
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
საწყისი მარაგები	1,559,183	2,992,579
მარაგების შესყიდვა	164,482	163,849
გადამუშავების დანახარჯები	228,376	173,022
სამოლოო მარაგები	(1,377,282)	(2,819,985)
სერთო შოგება	2,076,449	1,964,813
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	699,573	676,747
ცეცხლი და ამორტიზაცია	195,061	146,350
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი:		
ოჯარის ხარჯი	72,163	58,579
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	198,033	152,070
სულ საოპერაციო ხარჯები	1,164,829	1,033,747
საოპერაციო შოგება	911,620	931,166
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საგალუკო ოპერაციებიდან:	70,092	(144,600)
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
შოგება/(ზარალი) შოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	70,092	(144,600)
შოგების გადასახადი		
შოგება/(ზარალი)	981,711	786,566
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		
კაპიტალი საწყისი წამით (პერიოდის საწყისი წამით)	3,751,045	3,911,339
იხალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	(528,369)	(946,860)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ შოგებში	981,711	786,566
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4,204,387	3,751,045

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი- 2019	საანგარიშგებო პერიოდი- 2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(80,189)	1,110,107
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(449,114)	(804,852)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(529,302)	305,256
საგალუკო კურსის ეფექტი	49,561	40,620
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,693,168	1,347,292
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,213,426	1,693,168

